პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 166 (19907) კვირა, 19 ივლისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

წლის დავალება — 7 ნოემბრისათვის

ჩოხატაური. (ხაკ. კორ.) სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები ენერგიულად შრომობენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის შესახვედრად. მათ ჯერ კიდევ 22 მაისისთვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. მიიღეს საგეგმოზე 1 ტონით მეტი რძე. აქ შარშანდელთან შედარებით წველადობამ 170 კილოგრამით მოიმატა. დადებითად არის რეალიზებული ხორცის დამზადების გეგმაც. ამ წარმატებებში დიდი წვლილი აქვთ მწყემსებს ს. ლომთათიძეს, ჭ. მამალაძეს, ს. თედორაძეს, ა. თავბერიძეს და სხვებს.

ხიდისთაველ მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ ფერმის პროდუქციის წარმოების წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

ახალი ფაბრიკა

ქობულეთი. (ხაკ. კორ.). ლეღვასა და ქაქუთის კოლმეურნეობებში პიკის პერიოდში ხან სად ერდებოდათ გადასამუშავებლად ჩაის ფოთლის წყება, ხან სად. ეს პრობლემა წარმატებით გადაიჭრა. ქაქუთში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩაის ფაბრიკა, რომელიც ორიგინალურ კოლმეურნეობას მოემსახურება.

ახალი ფაბრიკა ააშენა ავრომრეწვის № 10 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი — ო. ჩარკვიანი). ეს არის ავტომატიზაციითა და მექანიზაციით აღჭურვილი ახალი თანამედროვე ტიპის საწარმო. გაუმჯობესებულია ტექნოლოგიური პროცესები. მისი საღდღეამისო სიმძლავრეა 90 ტონა. ავტომატური მართვის პულტს ერთი ოპერატორი ემსახურება, ფოთლის ხმობა და ღონობა ორთქლის კალიფერებით ხდება. მძლავრი სვენტილაციო სისტემა იწოვს ცხელ, გაჭუჭყიანებულ ჰაერს და ტუმბავს სუფთა ჰაერს. ასევე ავტომატიზებულია პროდუქციის ჩატვირთვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

17 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის, მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის მთავრობის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების კონკრეტული ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესაბამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ჩანაფიქრით რევოლუციური და სიღრმით ნოვატორული გადაწყვეტილებების განხორციელება სახელმწიფო მართვის ყველა ორგანოს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. როგორც პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში აღინიშნა, იმისათვის, რომ მეცამეტე ხუთწლედს შევეგებოთ კარგად გამართული სამეურნეო მექანიზმით და უზრუნველყოთ ეკონომიკის მართვის მთლიან სისტემაზე გადასვლა, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის რადიკალური რეფორმის ღონისძიებათა კომპლექსის ეტაპობრივ განხორციელებას. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული რეალიზაცია მძლავრ ბიძგს მოახდენს საბჭოთა საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროზე, სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებაზე და უზრუნველყოფს მის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას.

ამ მუშაობის განხორციელების პირველი ეტაპის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს მეურნეობრიობის ახალი პირობების, მართვის მთლიანი სისტემის მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის გეგმის ჩამოყალიბება, რაც სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ამოქმედების უცილობელი პირობაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გააკრიტიკეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ცალკეული სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმის გამო, რომ დაუშვეს ხარვეზები დაგეგვის დარგში, ნელა გარდაქმნან მას მეურნეობრიობის, მართვის ახალი მეთოდებისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ზუსტი შესაბამისობით. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია გადაწყვეტილებები 1988 წლის იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მრავალი დარგის საწარმოს გადაყვანის შესახებ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ჯეროვნად ვერ აფასებენ, თუ რაოდენ საჭიროა სახელმწიფოთა შეკვეთებისა და სტაბილური ნორმატივების სწრაფად დამუშავება და მათთვის მიწოდება, რაც მართვის ეკონომიკური მეთოდების ღერძია. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება სერიოზულად ჩაფუშოს საქმე ეკონომიკის გარდაქმნის დაწყებისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოითხოვა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ გეგმის ახლებურად დამუშავება, მიაღწიონ მის სრულ შეწონასწორებას. აღინიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფო შეკვეთების ფორმირებისას მკვეთრად შეამციროონ მათი შემადგენლობა, რათა საწარმოს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მოთხოვნილებებით, თავიანთი გეგმების შემუშავებისას შესაძლებლობა ჭქონდეთ დამოუკიდებლად იმუშაონ მომხმარებლებთან, უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები, დროულად დადონ სამეურნეო ხელშეკრულებები.

აღინიშნა, რომ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახალხო მეურნეობის დარგების პერსპექტიული განვითარების ამოცანები. საჭიროდ არის მიჩნეული აქტიური მუშაობა გაჩაღდეს მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის მომზადებისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგებას მკაცრად მიეთითა იმის გამო, რომ სუსტად აწარმოებს სამუშაოებს წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, გაითვალისწინეს, რა, რომ საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა მთელი სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფის მაგისტრალური მიმართულებაა, სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცა უზრუნველყოს, რომ საბითუმო ვაჭრობის ხვედრითი წილი პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობაში 1990 წელს გაიზარდოს 60 პროცენტამდე, გადაყვანა დამთავრდეს 1992 წელს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებებზე დაფუძნებულ მეურნეობრიობის ახალ პირობებში საჭირო შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მტკიცედ გარდაიქმნება საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი. მთელი რიგი სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკები სერიოზულად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მათ არ განახორციელეს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, საწარმოთა წამგებიანობის ლიკვიდაციის ღონისძიებანი, არ აღმოუფხვრავთ უყაირათობის დასაფარავად ფინანსური რესურსების გამოყოფის თაობაზე სსრ კავშირის მთავრობაში თხოვნით მიმართვის მანკიერი პრაქტიკა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოითხოვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული რეალიზაციისათვის თავდაპირველად განხორციელდეს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის განჯანსაღების ამომწურავი კონკრეტული ღონისძიებანი, რათა 1988 წლიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანა ფორმალურად არ იყოს განხორციელებული. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის ბანკები, აგრეთვე მათი ადგილობრივი ორგანოები ნელა გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ჯერ კიდევ ვერ ახდენენ გავლენას საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ძირეულ სრულყოფაზე.

ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პირობებში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას. ეს მრავალპლანიანი ამოცანაა. იგი მოიცავს მართვის ყველა ეშელონს და უნდა გადაწყდეს კომპლექსურად, სისტემატურად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო აპარატის საქმიანობის გარდაქმნისათვის მუშაობის სუსტ ორგანიზაციას.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა შემუშავდეს სახალხო მეურნეობის დარგებში მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ძირეული გარდაქმნის, მათი არსებითი გამარტივებისა და მართვის აპარატის რიცხვის შემცირების ღონისძიებანი. სამინისტროები მოვალენი არიან გაამსხვილონ მოქმედი საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, შექმნან ახალი ტიპის სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ შეუწყნარებლად გაჭიანურდა ეკონომიკის ხელმძღვანელობის რესპუბლიკური ორგანოების შემადგენლობისა და სტრუქტურის გადასინჯვა და მოწესრიგება. ტერიტორიული მართვის სრულყოფისათვის გათვალისწინებული ახალი ამოცანების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეკალათ შეიმუშაონ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენგეგმა ფინანსთა სამინისტროს ჯეროვნად ვერ აფასებენ, თუ რაოდენ საჭიროა სახელმწიფოთა შეკვეთებისა და სტაბილური ნორმატივების სწრაფად დამუშავება და მათთვის მიწოდება, რაც მართვის ეკონომიკური მეთოდების ღერძია. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება სერიოზულად ჩაფუშოს საქმე ეკონომიკის გარდაქმნის დაწყებისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოითხოვა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ გეგმის ახლებურად დამუშავება, მიაღწიონ მის სრულ შეწონასწორებას. აღინიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფო შეკვეთების ფორმირებისას მკვეთრად შეამციროონ მათი შემადგენლობა, რათა საწარმოებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მოთხოვნილებებით, თავიანთი გეგმების შემუშავებისას შესაძლებლობა ჭქონდეთ დამოუკიდებლად იმუშაონ მომხმარებლებთან, უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები, დროულად დადონ სამეურნეო ხელშეკრულებები.

აღინიშნა, რომ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახალხო მეურნეობის დარგების პერსპექტიული განვითარების ამოცანები. საჭიროდ არის მიჩნეული აქტიური მუშაობა გაჩაღდეს მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის მომზადებისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგებას მკაცრად მიეთითა იმის გამო, რომ სუსტად აწარმოებს სამუშაოებს წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, გაითვალისწინეს, რა, რომ საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა მთელი სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფის მაგისტრალური მიმართულებაა, სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცა უზრუნველყოს, რომ საბითუმო ვაჭრობის ხვედრითი წილი პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობაში 1990 წელს გაიზარდოს 60 პროცენტამდე, გადაყვანა დამთავრდეს 1992 წელს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა სრულად ამოქმედებისა და ეკონომიკური მეთოდებზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალ პირობებში საჭირო შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მტკიცედ გარდაიქმნება საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი. მთელი რიგი სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკები სერიოზულად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მათ არ განახორციელეს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, საწარმოთა წამგებიანობის ლიკვიდაციის ღონისძიებანი, არ აღმოუფხვრავთ უყაირათობის დასაფარავად ფინანსური რესურსების გამოყოფის თაობაზე სსრ კავშირის მთავრობაში თხოვნით მიმართვის მანკიერი პრაქტიკა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოითხოვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული რეალიზაციისათვის თავდაპირველად განხორციელდეს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის განჯანსაღების ამომწურავი კონკრეტული ღონისძიებანი, რათა 1988 წლიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანა ფორმალურად არ იყოს განხორციელებული. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის ბანკები, აგრეთვე მათი ადგილობრივი ორგანოები ნელა გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ჯერ კიდევ ვერ ახდენენ გავლენას საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ძირეულ სრულყოფაზე.

ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პირობებში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას. ეს მრავალპლანიანი ამოცანაა. იგი მოიცავს მართვის ყველა ეშელონს და უნდა გადაწყდეს კომპლექსურად, სისტემატურად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო აპარატის საქმიანობის გარდაქმნისათვის მუშაობის სუსტ ორგანიზაციას.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა შემუშავდეს სახალხო მეურნეობის დარგებში მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ძირეული გარდაქმნის, მათი არსებითი გამარტივებისა და მართვის აპარატის რიცხვის შემცირების ღონისძიებანი. სამინისტროები მოვალენი არიან გაამსხვილონ მოქმედი საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, შექმნან ახალი ტიპის სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ შეუწყნარებლად გაჭიანურდა ეკონომიკის ხელმძღვანელობის რესპუბლიკური ორგანოების შემადგენლობისა და სტრუქტურის გადასინჯვა და მოწესრიგება. ტერიტორიული მართვის სრულყოფისათვის გათვალისწინებული ახალი ამოცანების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეკალათ შეიმუშაონ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენგეგმა

(დასასრული მე-2 გვ.).

გაკვაფვართოოთ საჯაროობა

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

სურათზე: საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომათა დარბაზში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მარტო დეპუტატის მანდატების მფლობელები როდი გახდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მორიგი სესიის მონაწილენი. წინასწარ გამოაცხადა რა თავის შემადგენლობაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყველა, ვისაც აწუხებს ბინების მშენებლობისა და მისი სამართლიანი განაწილების პრობლემები, მიიწვია მონაწილეობა მიეღოთ ამ საჭირბოროტო საკითხის განხილვაში. წინასწარ გამოქვეყნდა რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების გეგმებისა და მათი განხორციელების ვადების შესახებ შესაბამისი მასალებიც.

ასეთმა ფართო საჯაროობამ, სესიისათვის მზადების დროს საზოგადოებრიობის აზრისადმი ნდობამ რესპუბლიკის მოსახლეობის მხურვალე, დაინტერესებული გამოხმაურება გამოიწვია. მთელი თვის განმავლობაში პრეზიდიუმში გულდასმით აანალიზებდნენ და განაზოგადებდნენ მიღებულ წერილებს, ტელეფონით საუბარს. მის მისაღებში სესიის წინ და მისი მუშაობის დროს მოქმედებდა საკონსულტაციო ჯგუფი. გაერთიანნა რა თავის შემადგენლობაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, იგი ოპერატიულად განიხილავდა მოქალაქეთა მიმართვებს საბინაო საკითხებზე. პირადად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იღებდა ყველა მსურველს. ადამიანთა კონკრეტული წინადადებანი, შენიშვნები და სურვილები გამსჭვალული იყო მისწრაფებით, რომ კარდინალურად გაუმჯობესდეს საქმის ვითარება ამ მნიშვნელოვან სოციალურ სფეროში. მთ მთელი სიმწვავით დადგა ბინაო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის აქტუალური პრობლემები, უკარნახეს აქ არსებული ნეგატიური გამოვლინებების დაძლევის, მათი ახრით, ყველაზე ოპტიმალური გზები, გააცეს ადგილებზე შეძენილი კარგი გამოცდილება, რომელიც მხარდაჭერასა და გავრცელებას მოითხოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ შემუშავებული სამეურნეო გარდაქმნის სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმატებით განხორციელება პირდაპირ არის დამოკიდებული სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტოა ბინის საკითხი. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობანი, რათა გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწიონ აქ. სწორედ ამის მიღწევის მტკიცე გადაწყვეტილებით შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თავიანთ მეექვსე სესიაზე, რომელიც 18 ივლისს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. აქ მოვიდნენ ისინიც, ვინც გამოეხმაურა პრესაში გამოქვეყნებულ პრეზიდიუმის მიწვევას, გამოთქვა სურვილი უშუალოდ დასწრებოდა სესიას.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ი. ბ. აბაშიძე,** თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ნ. ი. ლალიძე, ე. ჩ. ჭვარჩია, ა. ჭ. ლალაიშვილი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატარაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გიორგაძე, ა. ნ. გლურჯიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუშბარიძე, გ. ხ. ემორიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. სჯაია, ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

შეერებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. პ. ქირიას ხსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **შ. ვ. ყარყარაშვილის** მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ცნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებანი: **ა. ნ. თავხელიძისა,** რომელიც არჩეულია ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის №5 ლენინის საარჩევნო ოლქში; **ა. თ. გოცირიძისა** — ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის №19 გლდანის საარჩევნო ოლქში; **მ. პ. წიკლაურისა** — ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის საარჩევნო ოლქში; **გ. ჩ. ჩოგოვაძისა** — ქალაქ გორის № 117 ძნელაძის საარჩევნო ოლქში; **თ. გ. ლეკოშვილისა** — თელავის რაიონის № 226 იყალთოს საარჩევნო ოლქში; **თ. ი. მათიაშვილისა** — ახმეტის რაიონის № 229 მაღნის საარჩევნო ოლქში; **ზ. დ. პაპავასი** — ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის საარჩევნო ოლქში; **რ. შ. ჭეიშვილისა** — ქალაქ ქუთაისის ავტომარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის საარჩევნო ოლქში; **ა. ხ. მიხაილოვისა** — აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის საარჩევნო ოლქში; **გ. დ. ჯავახიშვილისა** — ცხაკაიის რაიონის № 321 ლენინის საარჩევნო ოლქში; **ა. მ. ზოდელავასი** — ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის საარჩევნო ოლქში; **ე. პ. ჯოფიკაცისა** — ქალაქ ბათუმის № 402 ლენინის საარჩევნო ოლქში; **ი. ა. მენდელიძეშვილისა** — ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქში; **ი. ო. ანდრიაძისა** — ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის № 20 მუხიანის საარჩევნო ოლქში; **ზ. ა. ლაბახუასი** — გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის საარჩევნო ოლქში; **ნ. ვ. კომახიძისა** — ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის საარჩევნო ოლქში; **ა. ნ. გლურჯიძისა** — ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის საარჩევნო ოლქში; **ვ. ი. მახარაძისა** — ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქში; **რ. ნ. ნაბეგებიასი** — გეგეჭკორის რაიონის № 350 ბანძის საარჩევნო ოლქში; **ო. გ. ზუბბაიასი** — ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქში; **თ. დ. რამიშვილისა** — — ედეთი რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი;

(დასასრული მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა კ. გროსს

17 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კ. გროსს, რომელიც მეგობრულ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა მოსკოვში. საუბრის დროს მხარეები შეეხნენ თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საქმიანობის, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ დარგებში საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის სრულყოფის ზოგიერთ საკითხს.

შეეხო რა სსრ კავშირში გარდაქმნის მიმდინარეობას, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების დაჩქარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოებში დემოკრატიული საწყისების ყოველმხრივ გაღრმავებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ახლა აქვს გარდაქმნის მთლიანი კონცეფცია, უფრო ღრმად ესმის მისი დიალექტიკა და კანონზომიერება. ამის საფუძველზე ხორციელდება რადიკალური რეფომა გადამწყვეტ სფეროში — ეკონომიკაში. ამასთან ყურადღებით ვსწავლობთ მეგობრების გამოცდილებას, ვითვალისწინებთ ყველაფერს, რაც შეესაბამება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის ინტერესებს.

კ. გროსმა განაცხადა, რომ უნგრეთის კომუნისტები, საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირში თავისი არსით რევოლუციურ ცვლილებებს, უკავშირებენ მათ სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების, სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის კომეკონის ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, თანამშრომლობის ეფექტიანობის გაძლიერების იმედებს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალუმა კომიტეტმა ამასწინანდელ პლენუმზე მიიღო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სტაბილიზაციას, მისი შეწონასწორების აღდგენას, მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას, სტრუქტურულ გარდაქმნათა განხორციელებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები ახლა თავიანთი განვითარების მეტად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ეტაპს განიცდიან. ისინი ისწრაფვიან ღრმად და რეალისტურად გაიაზრონ, შეაფასონ ვითარება, დასახონ, თუ რის გაკეთებაა კონკრეტულად საჭირო მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა უნგრელ კომუნისტებს უსურვა წარმატებები ახლანდელი სიძნელეების დაძლევისათვის, სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის მუშაობაში.

საუბრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ორივე პარტია და ქვეყანა ნიადაგ ერთგულობენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საქმეს და აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობაში არსებობს კიდევ ბევრი რეზერვი, რომელთა ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო განვითარების მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანის უფრო სწრაფ გადაწყვეტას. ამ რეზერვების ამოქმედების საიმედო საფუძველია საბჭოთა კავშირ-უნგრეთის უმაღლესი დონის 1986 წლის ნოემბრის შეხვედრაზე მიღწეული მორიგებანი.

შეხვედრას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი. საუბარმა გულითად და ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკმესი).

ირანის წარმომადგენელი მიიღეს კრემლში

17 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში ჩამოსული ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენელი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მოჰამად ჯავად ლარიჯანი და მისი თანმხლები პირნი.

საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი რეგიონალური პრობლემა, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სპარსეთის ყურის ზონაში არსებულ ახლანდელ სიტუაციას. მხარეებმა გამოთქვეს საერთო აზრი: ამ აკვატორიაში მდგომარეობა იმის შედეგად გაუწყვდა, რომ ვაშინგტონი ზრდის თავის სამხედრო ყოფნას ირანის, ერაყისა და სხვა არაბული სახელმწიფოების სანაპიროებთან.

ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ თანამიმდევრულად იცავდა და იცავს თანასწორობის, ორმხრივი პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. საბჭოთა კავშირმა და ირანმა, როგორც მეზობლებმა, მუდამ მშვიდობიანად და მეგობრულად უნდა იცხოვრონ.

მ. დ. ლარიჯანიმ თავის მხრივ განაცხადა, რომ ირანის ხელმძღვანელობა ესწრაფვის საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მან, კერძოდ, მხარი დაუჭირა ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში ახალი პროექტების განხორციელებას.

ხანასასრულ თანამოსაუბრეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ისეთი ვიზიტებს, როგორიც არის ირანის დელეგაციის ახლანდელი ჩამოსვლა მოსკოვში, სარგებლობა მოაქვს და საშუალებას იძლევა უკეთ გაარკვიონ მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელობის თვალსაზრისი. (საკმესი).

მისალოცი დეპეშა

სოფია ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ ნიკარაგუის ეროვნული

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

რალური სქემები და წარუდგინონ ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებს აღმასკომებს მეთითათა, რომ სერიოზული ხარვეზები დაუშვეს სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისაკენ, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს გაფართოებისათვის მუშობაში. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა მართვის რესპუბლიკურ ორგანოებთან უფრო საგნობრივი მუშობა ამ საკითხების გადაწყვეტაში.

აღინიშნა, რომ საკმარისად აქტიურად არ წარმოებს მუშობა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისათვის სსრ კავშირის სახაგრომრეწველო სისტემაში. მის ხელმძღვანელობას დაეკალა ღრმად განიხილოს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გადაყენებელი ღონისძიებანი, რათა 1988 წლის 1 იანვრიდან უზრუნველყოს 20 ოქტომბერ და 3 მოკავშირე რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიუთითა სსრ კავშირის სახაგრომრეწველ, რომ დაეშვებელია კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებს თავს მოახვიონ ადმინისტრაციულად მათთვის უსარგებლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ამიერიდან ასეთ ფაქტებს მართვის ეკონომიკური მეთოდების საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს ეკონომიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის გარდაქმნისათვის გათვალისწინებული მთელი მუშობა. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა აქტიური გავლენა მოახდინოს იმაზე, რომ დარგობრივი ინსტიტუტები და სამეცნიერო ორგანიზაციები გადავიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

იმისათვის, რომ განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება მეცამეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის ახალი ფაზებით შედგენის შესახებ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაეკალა დაამტკიცოს საბითუმო, შემსყიდველი და საცალო ფასებისა და ტარიფების სისტემის ურთიერთდაკავშირებული გარდაქმნის კომპლექსური გეგმა. განსაზღვრა ქვეყანაში ფასების დისიპლინის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულების შემუშავების წესი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიფერთება გამოთქვა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ახალი საბარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებისათვის მუშობის მდგომარეობის გამო. აღინიშნა, რომ ამ საქმეში დადებით შედეგებთან ერთად, ბევრ სამინისტროში ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის გადაწყვეტა თვითდინებაზეა მიშვებული. საჭიროდ არის მიჩნეული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მოისმინონ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებანი ამ მუშობის მდგომარეობის შესახებ.

გარდაქმნის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა კადრების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, მათ მიერ მართვისა და მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდების, ეკონომიკისა და ახალი სამეურნეო მექანიზმის მართვის მთლიანი სისტემის პრინციპების დაფუძლება.

მაგრამ სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი ხელმძღვანელი ფორმალურად უდგება ამ მნიშვნელოვან საქმეს, არ თვალისწინებს სიტუაციის სიმწვავესა და სირთულეს. ამის გამო სამინისტროების და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოთა მრავალი ხელმძღვანელი სრულად ვერ სწვდება მართვის ახალი ეკონომიკური მეთოდების არსს.

ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის განხორციელებისათვის მთელი მუშობის კოორდინაცია ეკისრება მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიას.

დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციისადმი კონტროლი, წარმოებული მუშობის მიმდინარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი დაეკალათ პერსონალურად მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს.

სსრ კავშირის მთავრობა, ახორციელებს რა ქვეყნის ეკონომიკის მართვის სისტემის ძირეული გარდაქმნის ხელმძღვანელობას, მუდამ გააკონტროლებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ამოქმედებისათვის საქმის ვითარებას, მუშობის ეფექტიანობას, რომელსაც ეწევიან ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. სსრ კავშირის მთავრობა მთელ თავის ძალებს მოახმარს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებას, იხელმძღვანელებს მეურნეობრიობის ლენინური პრინციპებით, ყველაფერს იღონებს სახალხო მეურნეობის მართვის ყოველმხრივი დემოკრატიზაციისათვის, მტკიცედ და განხურელად შეასრულებს მართვის მთლიანი სისტემის პრინციპებსა და დებულებებს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის ძოთხოვნათა შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი **ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.**

როგორც ცხადყოფს წლის პირველი ნახევარში სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების მეოხებით ძირითადად დავძლიეთ წლის დამდეგს დაშვებული ჩამორჩენა, თავი დავაღწიეთ გარღვევას, გავზარდეთ მუშობის ინტენსიურობა და უზრუნველვყავით მთლიანად წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ზრდა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. მრეწველობამ 1987 წლის პირველ ნახევარში მიაღწია წარმოების ზრდის ტემპს, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ პერიოდის გეგმის ანგარიშებში. სტაბილურად ძუშობდნენ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისა და მეტალურგიის დარგები. აგროსამრეწველო კომპლექსში უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატების ტემპი, რაც აღემატება წლისათვის დაგეგმილს, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და შესყიდვა. შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 17 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეკონომიკის მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. უზრუნველყოფილი არ არის სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის მუშაობის სტაბილურობა და რიტმულობა, სამრეწველო გაერთიანებათა და საწარმოთა თითქმის მეოთხედმა ვერ შეასრულა მომხმარებლისათვის პროდუქციის მიყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებანი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წარმოების შეწოხასწორებასა და მისი განვითარების ტემპზე. საწარმოო ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 2,4 პროცენტით, გეგმით კი გათვალისწინებული იყო წელიწადში 3,9 პროცენტი.

განსაკუთრებით სუსტად მუშაობდა მანქანათმშენებელი კომპლექსის მრავალი დარგი, რომლებმაც არა მარტო ვერ აანაზღაურეს მიმდინარე წლის I კვარტალში დაშვებული ჩამორჩენა, არამედ გაზარდეს კიდეც იგი. არსრულდება პროდუქციის განახლების დავალებანი, კვლავ დაბალია მისი ტექნიკური დონე. პროდუქციის მიწოდების გეგმას თითქმის 50 პროცენტი დააკლეს მაჩქანათმშენებლობის გაერთიანებებმა და საწარმოებმა. სახელმეკრულებო ვალდებულებანი შესრულდა 96,2 პროცენტის დონეზე, შარშანდელ 99,1 პროცენტის ნაცვლად.

მსუბუქი მრეწველობა და მანქანათმშენებლობის დარგები, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, დამაკმაყოფილებლად არ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნილებას სხვადასხვაგვარ, მაღალხარისხოვან საქონელზე. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც გეგმების ფორმირების ფართო უფლებები მიენიჭა, არ განახორციელა სათანადო ღონისძიებანი, რათა გაეღიდინენა პროდუქციის წარმოების ოდენობა და გაეუმჯობესებინა მისი ხარისხი.

მნიშვნელოვნად დააკლეს საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ მიაღწიეს ძირეულ გარდატეხას სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. ამის გამო ვერ შესრულდა სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ უაღრესად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშობა საშენი მასალების მოსახელობის უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირის სახმომრაგება, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ნელა გარდაქმნიან თავიანთ მუშობას, მოქნილობას არ იჩენენ ამ საქმეში. განსაკუთრებით დიდია პრეტენზიები სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საქმიანობის მიმართ. ნელა წყდება ადგილობრივი საშენი მასალებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხები ყაზახეთში, რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკასა და სხვა რესპუბლიკებში.

სათანადო გაქანებით არ იქმნება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატივები მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში. ამ მნიშვნელოვან საქმეში სათანადოდ არ უჭერენ მხარს ადგილობრივი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები. ნელა ხორციელდება მუშაობა ქოსახლეობის იხდივიდუალური შრომითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის.

სსრ კავშირის მთავრობამ მოითხოვა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა უთუოდ შესრულდეს 1987 წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი, აღმოიფხვრას წლის პირველ ნახევარში დაშვებული ხარვეზები მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებაში, შეიქმნას საჭირო პირობები ყველა გაერთიანებისა და საწარმოს სტაბილური, მყარი მუშობისათვის 1988 წლის დამდეგიდან მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს, **თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი დამხმარე საწარმოებისა და ორგანიზაციების სასოფლო მეურნეობების, მოკალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლეტიური ფერმერული ეკონომიკის და ფერმერული ეკონომიკის განვითარების შესახებ.**

აღინიშნა, რომ ამ საქმეში ერთგვარი დადებითი ძვრების მიუხედავად, სსრ კავშირის მრავალი სამინისტრო და უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მთლიანად ვერ ამოფხვრეს ადგილობრივ ბიუროკრატიულ ფორმალიზმ-ბიუროკრატიულ ფორმალიზმ-ბიუროკრატიულ ფორმალიზმ-



19 ივლისი მეტალურგის დღეა

ჩქაროსნული დნობის დიდოსტატები

ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ეს გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მებრძმედეების, მეფოლადეების, მგლინავების, სხვა პროფესიის მუშაკების დიდი სურვილით უთუოდ განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობანი, იყვნენ გარდაქმნის წინა ხაზზე.

კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ ისინი თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეტალურგის დღეს. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით დამზადდა 10 ათას ტონაზე მეტი თუჯი, კოქსი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, სხვა სახეობის ლითონნაროდუქცია.

სურათებზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხედი; საბრძმედე საამქროს მექურეები შალვა რაინდაშვილი, ტარიელ ახკილაშვილი და ნუგზარ ნატროშვილი; მარტენის საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო მეფოლადე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების სტუდენტი თეიმურაზ ოლგეხაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

ფოლადის ნასკვი

ამომავალი პროფესია სულ იოლად აირჩია გურამ ქაშაკაშვილმა. ზისი ბიძა პროფესორი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი ცნობილი მეტალურგი ინჟინერი იყო. მუშაობდა მთავარ მეტალურგიულ ქარხანაში, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში, იდგა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სათავეებთან. თავისი კუთხის უსაზღვრო პატრიოტი, როგორც კი დროს გამონახავდა, მშობლიურ მიაკოკვსკს მიაშურებდა და ახლობლებს მოინახულებდა. გამორჩევით უყვარდა პატარა გურამი. ისიც კარგად გრძნობდა ამას და ოცნებობდა მის კვალს გაჰყოლოდა, მეტალურგი გამხდარიყო. ნიჭიერმა ჯაბუკმა ოცნება აისრულა — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე განაგრძო და იმთავითვე მიიკვლია პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება. შრომითი საქმიანობა კი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში დაიწყო. იქ მიდიოდა, სადაც უფრო საჭირო იყო: იმუშავა ოსტატის თანაშემწედ, ჩამომსხმელად, ცვლის ოსტატად, ჩამომსხმელი მალის უფროსად. კომუნისტური პარტიის რიგებში ამ საამქროში მიიღეს, ხოლო შემდეგ საამქროს კომუნისტებმა თავიანთ უნანამდოლად აირჩიეს. ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეც იყო, ხოლო ათი წლის მანძილზე მარტენის საამქროს ედგა სათავეში.

სამოცდაათიანი წლების დამლევს ჩვენი რესპუბლიკის მეტალურგიის პირმშო — ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩამორჩენას ისიც დაემატა, რომ ქარხნის მილებიდან უხვად მომდინარე მომწამლავმა კვამლმა და ტალტომ ქალაქს აუტანელი მდგომარეობა შეუქმნა, ცხოვრება გაძნელდა. სწორედ ამ დროს ჩაუდგა სათავეში გურამ ქაშაკაშვილი ქარხანას, სწორედ ამ დროს ამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და გერგილიანობა, ხელმძღვანელობის შემოქმედებითი სტილი, ინიციატივიანობა და პრინციპული ხასიათი. სულ მალე საწარმომ არათუ თავი დაიწია სიძნელეებს, ქვეყანაში დარგის ერთ-ერთ მოწინავედ იქცა. გადაწყდა ქარხნის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის, ტექნიკური განახლების, საწარმოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საკითხები. რაც მთავარია, მომწამლავი ნისლი გადაიარა იმერეთის კოპწია ქალაქმა, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დადგა.

ოთხმოციანი წლების დამდეგს რასასურველი ვითარება შეიქმნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. კოლექტივმა, რომელიც რეპუბლიკაში დიისკვლინის და წესრიგის განმტკიცების ცნობილი ორგანიზატორი იყო, მოელოდნელად წაბიორძია, დათმო ოზიციები, ჩაიშალა გეგმის შესრულება, მენელდა წარმოების ბრდის ტემპი, გაუარესდა ხარისხი, ირღვეოდა მიწოდების დავალება. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ მოწამბილობა მორალურადაც მოძველდა და ფიზიკურადაც. ტექნიკური როგრესი საწარმოში გზას ვერ ოიკვლევდა.

ქარხნის ისტორიის მანძილზე ამ ეთიოულს მომენტში მას დირექტორად მისივე აღზრდილი გურამ ქაშაკაშვილი მოევლინა. მან ქარხნის ავ-კარგი იცოდა და უპირველესი ყურადღება სიახლეთა დანერგვას მიუქცია. მილსაგლინავ სამქროში დამონტაჟდა უნიკალური ბრეგგატები, რომლებიც თითქმის ეროპიული ძალის გამოუყენებლად ოქმედებენ. ტექნიკური განახლება შეეხო საბრძმედე, მარტენის, აგლინავ საამქროებსაც, სადაც ეთავრესი პროცესები მექანიზებული და ავტომატიზებული გახდა. არტენის საამქროში დაინერგა ეროშენადნობის ავტომატიზებული მიმწოდებელი ორიგინალური მექანიზმი, რომელიც ფოლადამომსმელ ციცხვში აროგულებს ძვირად ღირებული შენადნობების მიწოდებას. სიახლის შეგაგან გაუმჯობესდა შრომის პირობები, დაიზოგა დიდძალი ფეროშენადნობი, სრული სიმძლავრით ამუშავდა ადრეთვე ახალი აგლოფაბრიკა, რეკონსტრუირებულია „დგანი 900“. გაუქმდა რამდენიმე ძალზე ზარალიანი საამქრო და უბანი. ყოველივე ამან საწარმოს 10 მილიონი მანეთი დაუზოგა.

დიდი ცვლილებები მოხდა სოციალურ სფეროში. აი, მხოლოდ რამდენიმე შტრიხი: უკანასკნელ წლებში საწარმოს ყოველმა მეათე მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები, ამჟამად მუშა-მოსამსახურეთა ყველა ბავშვს აქვს ადგილი საბავშვო ბაღა-ბინებსა, ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა სავაჭრო ცენტრი, გაიხსნა ხილბოსტნეულის სამი მაღაზია, მოქმედებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი და კომპლექსური მიმღები პუნქტები; ქარხნის საზოგადოებრივი კვების ობიექტები, რომლებიც აქ ნომერ პირველ საამქროებად აქვთ მიჩნეული, სახელოვან მეტალურგებს მრავალფეროვან საუზმეს, კერძებს და გამაგრილებელ და მინერალურ წყლებს სთავაზობენ. ქარხანას აქვს საკუთარი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი ყოველგვარი ფიზიოთერაპიული და ბალნეოლოგიური მკურნალობისათვის. მეტალურგთა სამი ათასამდე ოჯახია გაერთიანებული მებაღეობის ამხანაგობაში. გარდა ამისა, მუშას ქარხნის ხარჯზე ეძლევა ცხელი საადილო, რომელიც მანეთამდე ჯდება. კიდევ ერთი დეტალი: თუ ცვლაში მომუშავე მუშა უბინაოა, ქარხანა ყოველთვიურად უხდის ბინის ქირას — 50 მანეთს, ვიდრე ბინით დააკმაყოფილებდნენ. თუ ყველაფერს ამას შეეჯამებთ, გამოდის, რომ მეტალურგთა საშუალო ყოველთვიური ხელფასი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების შემოსავლის ჩათვლით საშუალოდ ხუთის მანეთს აჭარებებს.

აი, მოკლედ ის, რაც სულ რაღაც სამიოდე წელიწადში გაკეთდა, პრესტიჟულობა დაუბრუნდა მეტალურგის მძიმე, ვაჟკაცურ პროფესიას. ამ ბოლო დროს ქარხანაში ოთხი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა სამუშაოდ და საშუალო ასაკი თითქმის ორ წლით გაახალგაზრდავდა. ეს კი უპირველეს ყოვლისა დირექტორის დამსახურებაა, რომელსაც ახასიათებს დიდი ერუდიცია, უნარი, გერგილიანობა. ცოცხალი, მიზანმიმართული მოქმედების, დაუშრეტელი გონების ადამიანი, ყველას ხიბლავს ნათელი გონებით მჭევრმეტყველებით, პედაგოგის ნიჭით. ეს ის კაცია, რომელიც არასოდეს გიღალატებს, არ მოგატყუებს, მართალი და ობიექტური, მტკიცე და პრინციპულია.

მილსაგლინავ საამქროში კაპიტალური რემონტის დროს გთვალისწინებული იყო არსებული გამაცივებელი მანქანის ახლით შეცვლა, რომელსაც პრინციპულად განსხვავებული სხვა სქემა ჰქონდა. როცა დირექტორმა საქმეში ღრმად ჩაიხედა, დაინახა, რომ ამ მაგიდის შეცვლა იმ დროში, რომელსაც კაპიტალური რემონტის რეგლამენტი ითვალისწინებდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამაზე დათანხმება წლიური გეგმის უეჭველ ჩაშლას ნიშნავდა. ამიტომ მან გაბედა და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება: ძველი გამაცივებელი მაგიდა დარჩენილიყო, ხოლო ახალი აშენებულიყო მის გვერდით. რაღა თქმა უნდა, ეს რთულ გადაკეთებას მოითხოვდა როგორც პროექტის, ისე პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისას, კერძოდ საჭირო იყო კოპეგისა და სახურავის ქვედა საყრდენების შეცვლა. ამ წინადადებას ბევრი წინ აღუდგა, მაგრამ საქმეში სამთო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტების ჩარევის შემდეგ იგი დადებითად გადაწყდა. ახალი მაგიდა უმოკლეს დროში — სამ თვეში შეიქმნა, ამრიგად, საწარმოო გეგმა კი არ ჩაშალა, ამ დანაზა გეგმის გადამეტებით 1500 ტონა ნამზადი გამოუშვა. ქაშაკაშვილმა ოპტიმალური ვარიანტი შესთავაზა სპეციალისტებს „დგანი 900“-ის რეკონსტრუქციის დროსაც.

